

სამოქალაქო განათლების ტესტი

I ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით დავალებათა ინსტრუქციებს, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების პირობა და შემდეგ გაეცით პასუხი.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 55.

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია

დავალება არჩევითი პასუხებით (№1-12, 19.1, 23.1, 23.2)

თითოეულ კითხვას თან ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელზე, სწორი პასუხის შესაბამის უჯრაში, დასვით **X** ნიშანი. არც ერთი სხვა აღნიშვნა ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით **X** ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი. გადასწორებულ პასუხს ხელმეორედ ვერ აირჩევთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება, რაც მითითებულია დავალების გასწვრივ.

(1) 1. რომელი ტერმინით აღინიშნება პროცესების გათავისუფლება ვისივე დაქვემდებარებიდან და შედეგად, დამოუკიდებლობისა და თანასწორი უფლებების მიღება?

ა) სეგრეგაცია;

ბ) ინტეგრაცია;

გ) ემანსიპაცია;

დ) სოციალიზაცია.

(1) 2. რა ეწოდება სახელმწიფოს მიერ უცხოელისათვის ან მოქალაქეობის არმქონე პირისათვის მოქალაქეობის მინიჭებას?

ა) რეპატრაცია;

ბ) ნატურალიზაცია;

გ) ნაციონალიზაცია;

დ) რესოციალიზაცია.

(1) 3. საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის თანახმად, ამომრჩევლის მინიმუმ რა რაოდენობას აქვს საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის უფლება?

ა) 35000;

ბ) 25000;

გ) 15000;

დ) 10000.

(1) 4. რა ტერმინით აღინიშნება მსოფლმხედველობა, რომლის მიხედვითაც საერო და სასულიერო ინსტიტუტები ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს და არ უნდა ჩაერიოს ერთმანეთის საქმიანობაში?

ა) ალტრუიზმი;

ბ) პლურალიზმი;

გ) კონფორმიზმი;

დ) სეკულარიზმი.

(1) 5. რა ეწოდება მოქალაქის უფლებას, კენჭი იყაროს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ასარჩევად და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად?

ა) პასიური საარჩევნო უფლება;

ბ) აქტიური საარჩევნო უფლება;

გ) ნეგატიური საარჩევნო უფლება;

დ) პოზიტიური საარჩევნო უფლება.

(1) **6. რომელი მსჯელობა არ გამოხატავს მართებულიად სამართლებრივი აქტის ცნების შინაარსს?**

- ა) სამართლებრივი აქტი არის იურიდიული ძალის მქონე ოფიციალური დოკუმენტი, რომლის ძირითადი დანიშნულებაა, კერძო და საჯარო სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგება;
- ბ) სამართლებრივი აქტი მიიღება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უფლებამოსილი სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ და შესასრულებლად სავალდებულოა;
- გ) სამართლებრივი აქტი გამოიცემა სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ და მასში ძირითადად ჩამოყალიბებულია ის უფლება-მოვალეობები, რომლებიც ეკისრება ადამიანებს, ორგანიზაციებსა და თანამდებობის პირებს;
- დ) სამართლებრივი აქტი გამოიცემა სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ყოველი ასეთი დოკუმენტი თანაბარი იურიდიული ძალის მქონეა.

(1) **7. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, არბიტრაჟი უფლებამოსილია განიხილოს:**

- ა) საკასაციო საჩივრები და მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება;
- ბ) სისხლის სამართლის საქმეები და გადაწყვიტოს კონკრეტული პირების დამნაშავეობის თუ უდანაშაულობის საკითხი;
- გ) საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი;
- დ) პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ის ქონებრივი დავა, რომლის მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის.

(1) **8. კოლექტიური უფლებების შესახებ მსჯელობებიდან რომელია მართებული?**

ა) 1972 წელს მიღებულ იქნა დეკლარაცია ადამიანის გარემოს შესახებ, რამაც საფუძველი ჩაუყარა ეკოლოგიურად სუფთა გარემოში ცხოვრების უფლების წარმოშობას. ეს უფლება კოლექტიური სარგებლისთვის არის გათვალისწინებული და პირველი თაობის უფლებებს მიეკუთვნება;

ბ) მესამე თაობის უფლებებს კოლექტიურ, ან სოლიდარობის უფლებებს უწოდებენ, ვინაიდან მათი გამოყენება არა დამოუკიდებელ ინდივიდს, არამედ ინდივიდთა გაერთიანებებს, ჯგუფებს შეუძლიათ. ასეთი უფლებებია, მაგალითად, მშვიდობისა და მდგრადი განვითარების უფლებები;

გ) სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შექმნას უშუალო შედეგად მოჰყვა კოლექტიური უფლებების ჩამოყალიბება. კოლექტიური უფლებები მეორე თაობის უფლებათა სახელით არის ცნობილი და მათ დაცვას უზრუნველყოფს გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეა;

დ) მე-19 საუკუნის 60-იან წლებში საფუძველი დაედო კოლექტიური უფლებების ჩამოყალიბებას. გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი სწორედ ამ უფლებათა დაცვას ემსახურება.


(1) **9. კონფლიქტურ სიტუაციაში კომპრომისული ქცევის მოდელის გამოყენება მიზანშეწონილია მაშინ, როდესაც:**

- ა) ძალაუფლება მხარეებს შორის თანაბარია და გადაწყვეტილების მიღება სასწრაფოდ გესაჭიროებათ. ასეთ დროს ორივე მხარე ზომიერად იცავს საკუთარ ინტერესებს და არც ერთი მხარის ინტერესები სრულყოფილად არ კმაყოფილდება;
- ბ) მეორე მხარესთან შედარებით ნაკლები ძალაუფლება გაქვთ, ხოლო პრობლემა თქვენთვის უმნიშვნელოა და გსურთ დროის მოგება. ასეთ დროს ორივე მხარის ინტერესები იგნორირებულია;
- გ) მეორე მხარეს მეტი ძალაუფლება აქვს და თქვენთვის მნიშვნელოვანია ურთიერთობის შენარჩუნება, ხოლო შედეგი მეორე მხარისათვის უფრო მნიშვნელოვანია. ასეთ დროს მეორე მხარის ინტერესები კმაყოფილდება საკუთარი ინტერესების ხარჯზე;
- დ) მეორე მხარესთან შედარებით მეტი ძალაუფლება გაქვთ, სიტუაცია კრიტიკულია და შედეგი თქვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ასეთ დროს მხოლოდ საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებას ექცევა ყურადღება და მეორე მხარის ინტერესები იგნორირებულია.

(1) **10. როგორია საბაზრო სტრუქტურა მონოპოლისტური კონკურენციის პირობებში?**

- ა) ბაზარზე ერთადერთი მწარმოებელია, რომელიც ქმნის ამა თუ იმ უნიკალურ პროდუქტს და თავად აკონტროლებს საქონლის ფასს;
- ბ) ბაზარზე მრავალი მეწარმე ყიდის გარკვეულწილად დიფერენცირებულ საქონელს და ახალი ფირმებისათვის ბაზარზე შესვლის ბარიერი დაბალია;
- გ) ბაზარზე მრავალი მეწარმეა, რომლებიც მსგავს პროდუქტს თითქმის ერთნაირ ფასად ყიდიან, ხოლო ახალი მწარმოებლებისთვის არ არსებობს დაბრკოლებები ბაზარზე შემოსასვლელად;
- დ) ბაზარზე დომინირებს მსხვილ მეწარმეთა მცირე რაოდენობა, რომლებიც აწარმოებენ მთელი პროდუქციის დიდ ნაწილს, ხოლო ახალი ფირმებისთვის ბაზარზე შეღწევა გართულებულია.

(1) 11. ინფოგრაფიკა ასახავს საქსტატის 2019 წლის ძირითად დემოგრაფიულ მაჩვენებლებს საქართველოში:



რომელი მსჯელობა შეესაბამება ინფოგრაფიკის მონაცემებს?

- ა) 2019 წელს საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა;
- ბ) საქართველოში 2019 წელს უფრო მეტი ადამიანი განქორწინდა, ვიდრე დაქორწინდა;
- გ) სეზონური თვალსაზრისით, ბავშვთა შობადობა ყველაზე მაღალი გაზაფხულზეა, ხოლო ქორწინება - ზაფხულში;
- დ) პირველი ქორწინებისას ქალების საშუალო ასაკი აღემატება პირველი ბავშვის დაბადებისას დედის საშუალო ასაკს.

(1) **12. დავალებაში მოცემულია კვლევის „საქართველოს მოსახლეობის ცოდნა და დამოკიდებულება სასამართლო სისტემის მიმართ“ 2018 წლის შედეგები:**

- მოსახლეობის აზრით, საქალაქო/რაიონული სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნისას, ძირითადად მოსამართლის მიერ კანონმდებლობის ცოდნას (60%), შესაბამის გამოცდილებას (54%), პატიოსნებასა (44%) და პოლიტიკურ წრეებთან სასარგებლო კავშირებს (20%) ითვალისწინებენ.
- საქალაქო/რაიონულ სასამართლოებს არ ენდობა მოსახლეობის 37%, ნეიტრალური დამოკიდებულება აქვს 33%-ს, ენდობა 19%; სააპელაციო სასამართლოს მიმართ უნდობლობას 35% გამოხატავს, ნეიტრალურ დამოკიდებულებას - 32%, ხოლო ნდობას - 22%. მოსახლეობის 37% არ ენდობა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, 32% ნეიტრალურადაა განწყობილი, ხოლო 24% ენდობა.
- მოსახლეობის 42% ფიქრობს, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში სასამართლო სისტემა არ შეცვლილა. 21% მიიჩნევს, რომ იგი გაუმჯობესდა, ხოლო 29%-ის აზრით, სასამართლო სისტემა გაუარესდა.

მონაცემთა საფუძველზე გამოტანილი რომელი დასკვნაა მართებული?

- ა) საერთო სასამართლოების მიმართ არსებული დაბალი ნდობა გამოწვეულია იმით, რომ მოსახლეობის უმრავლესობა მოსამართლეების ცოდნას ეჭვქვეშ აყენებს;
- ბ) მოსახლეობის უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საქართველოში მოსამართლეთა შერჩევის პროცესი პოლიტიზირებულია;
- გ) მოსახლეობის უმრავლესობის აზრით, სასამართლო სისტემა დროთა განმავლობაში იხვეწება და პროგრესირებს;
- დ) სამივე ინსტანციის სასამართლოს მიმართ მოსახლეობის მეტ წილს აქვს უნდობლობა, ვიდრე ნდობა.

ინსტრუქცია

თანმიმდევრობის დადგენა (№13)

დავალებაში მოცემული ჩამონათვალი დაალაგეთ მითითებული პრინციპის თანახმად. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ არჩეული პასუხის შესაბამისი ციფრი. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

- (1) 13. სქემაზე მოცემულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნები. დაალაგეთ ისინი თანმიმდევრულად, ორგანიზაციაში მათი გაწევრიანების თარიღის მიხედვით:



			4*	
--	--	--	----	--

* ცხრილში მითითებულია სწორი პასუხი.

ინსტრუქცია

შესაბამისობის დადგენა (№14, 15, 16)

დავალებაში ორ სვეტად მოცემულია სხვადასხვა ტიპის ჩამონათვალი. დაადგინეთ შესაბამისობა ამ ორ სვეტში წარმოდგენილ ინფორმაციას შორის. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.


- (1) 14. SWOT ანალიზი წარმოადგენს ერთ-ერთ მეთოდს გარემოსა და შესაძლებლობების გასაანალიზებლად. შეუსაბამეთ I სვეტში მოცემულ გარემოებებს II სვეტში წარმოდგენილი SWOT ანალიზის ელემენტები:

I. გარემოებები	II. SWOT ანალიზის ელემენტები
ა) ➤ კომპანიას მცოდნე და გამოცდილი პერსონალი ჰყავს; ➤ კომპანია ფლობს უნიკალურ რესურსებს. ბ) ➤ კონკურენტი კომპანია ინოვაციურ პროდუქტს და სერვისს სთავაზობს კლიენტებს; ➤ ბაზარზე ჩნდება ახალი კონკურენტი კომპანიები.	ბ) ➤ იზრდება კომპანიის ერთგული კლიენტების რაოდენობა; ➤ იზრდება ახალ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა. დ) ➤ კომპანიას ბაზარზე დაბალი რეპუტაცია აქვს; ➤ კომპანიას ჰყავს არამოტივირებული პერსონალი. 1. სუსტი მხარეები 2. ძლიერი მხარეები 3. შესაძლებლობები 4. საფრთხეები

(2) **15. II სვეტში მოცემული დემოკრატიული არჩევნების ძირითადი პრინციპები შეუსაბამეთ I სვეტში მოცემულ განმარტებებს:**

I. განმარტებები	II. არჩევნების ძირითადი პრინციპები
ა) არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს შესაბამისი ასაკის ყველა მოქალაქეს, რომელიც აკმაყოფილებს რეგისტრაციის პირობებს.	1. თავისუფლების პრინციპი
ბ) ყველა ამომრჩეველს კანონის ფარგლებში თანასწორი უფლებები და საარჩევნო უფლების რეალიზაციისთვის თანაბარი პირობები აქვს. ერთი და იმავე საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩეველს ხმათა თანაბარი რაოდენობა აქვს.	2. პირდაპირობის პრინციპი
გ) ყველა ამომრჩეველი უშუალოდ ირჩევს თავის წარმომადგენელს სახელმწიფო ორგანოებში.	3. თანასწორობის პრინციპი
დ) ყველა ამომრჩეველი სხვისი თანდასწრების გარეშე, დახურულ საარჩევნო კაბინაში აწარმოებს კენჭისყრას და ამასთანავე გამორიცხულია შევსებული ბიულეტენების სხვა პირის მიერ დანახვის შესაძლებლობა.	4. საყოველთაოობის პრინციპი
ე) ყველა ამომრჩეველი თავად წყვეტს, მივიდეს თუ არა არჩევნებზე და დააფიქსიროს თუ არა საკუთარი პოზიცია. გარანტირებულია არჩევანის გაკეთება ზეწოლისა და დაშინების გარეშე, ამასთანავე აკრძალულია ნებისმიერი ამომრჩევლის ნების გამოვლენაზე კონტროლი.	5. ფარულობის პრინციპი

- (2) 16. რუკა ასახავს რელიგიების გავრცელებას მსოფლიოში. შეუსაბამეთ I სვეტში მოცემულ რელიგიებს II სვეტში მოცემული რუკის ლეგენდის ფერები:



I. რელიგიები	II. რუკის ლეგენდის ფერი
ა) პროტესტანტული ქრისტიანობა	1. 
ბ) კათოლიკური ქრისტიანობა	2. 
გ) სუნიტური ისლამი	3. 
დ) ინდუიზმი	4. 
ე) თერავადა ბუდიზმი	5. 

ინსტრუქცია

შეცდომის გასწორება (№17)

დავალებაში მოცემულია ტექსტი, რომელშიც დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომები (თარიღი, ტერმინი, სახელი და სხვ). იპოვეთ და შეასწორეთ ისინი. ნაპოვნი შეცდომა და მისი შესწორებული ვარიანტი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში (შეცდომა - I სვეტში, ხოლო შესწორებული ვარიანტი - II სვეტში). გაითვალისწინეთ, ყოველი ნაპოვნი შეცდომა, მის შესწორებულ ვარიანტთან ერთად, 1 ქულით ფასდება. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

(7) 17. ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი, იპოვეთ და გაასწორეთ შეცდომები:

სახელმწიფო

ადამიანი სოციალური არსებაა და სხვა ადამიანებთან თანაცხოვრებით ის ქმნის თანაარსებობის სხვადასხვა ფორმას, რომელთაგან ერთ-ერთი სახელმწიფოა. ძველ საბერძნეთში სახელმწიფოში ცხოვრება და მის მართვაში ჩართულობა იმდენად მნიშვნელოვან მოვლენად მიაჩნდათ, რომ ფილოსოფოსმა პიტაგორამ ადამიანს „პოლიტიკური ცხოველიც“ კი უწოდა.

ისტორიის მანძილზე ადამიანებმა სხვადასხვა ტიპის სახელმწიფოები შექმნეს, რომლებიც ერთმანეთისაგან მმართველობის ფორმით, იდეოლოგიით თუ ტერიტორიული მოწყობის წესით განსხვავდებიან. მმართველობის ერთ-ერთი უძველესი ფორმა მონარქიაა. მონარქია რელატიურია, თუ მთელი სახელმწიფო ძალაუფლება ერთი პირის, მონარქის ხელშია თავმოყრილი. იმ შემთხვევაში, თუ მონარქის ხელისუფლება არჩევითი ორგანოს მიერ არის შეზღუდული, მაშინ ასეთ მმართველობას კონსტიტუციური მონარქია ეწოდება. ქვეყანა, რომელშიც ადამიანები სახელმწიფო ძალაუფლებას ინდივიდუალური დამსახურებითა და პიროვნული ტალანტის საფუძველზე მოიპოვებენ, მერიტოკრატიულია. როდესაც სახელმწიფო კანონებს რელიგიური იერარქები განსაზღვრავენ, მაშინ ის არისტოკრატიულია, ხოლო თუ სახელმწიფო ძალაუფლების წყარო არც სიმდიდრე, არც წარმომავლობა და არც რელიგია, არამედ ხალხია, მაშინ სახელმწიფო დემოკრატიულია. თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს ფილოსოფიური საფუძვლები

გადასვლა ტექსტის მეორე გვერდზე

ეგრეთ წოდებული „ბუნებრივი ხელშეკრულების“ თეორიის სახელით არის ცნობილი. ამ თეორიის ყველაზე ცნობილი წარმომადგენლები არიან თომას ჰობსი, ჯონ ლოკი და ჟან-ჟაკ რუსო.

დემოკრატიულ სახელმწიფოში მნიშვნელოვანია მოქალაქის როლი და მისი აქტიური ჩართულობა სახელმწიფო მართვის საკითხში მეტწილად განსაზღვრავს დემოკრატიის ხარისხს. თანამედროვე ეპოქაში დემოკრატიის ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფორმა არის ე.წ. პირდაპირი დემოკრატია, სადაც მოქალაქეები სახელმწიფოს მართავენ საკუთარი წარმომადგენლების მეშვეობით.

მმართველობის ფორმების გარდა, ქვეყნები ერთმანეთისგან ტერიტორიული მოწყობითაც განსხვავდებიან. მაგალითად, აშშ, გერმანია, ბრაზილია და ინდოეთი წარმოადგენენ უნიტარულ სახელმწიფოებს, სადაც ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად მოქმედებს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულების ხელისუფლებაც.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე სახელმწიფოები აქტიურად არიან ჩართულნი საერთაშორისო ვაჭრობაში და შესაძლოა სხვადასხვა ალიანსის წევრებიც იყვნენ, პრინციპულად მნიშვნელოვანია, მათი დამოუკიდებლობა შიდა პოლიტიკის წარმოების საკითხში. სახელმწიფოს ექსკლუზიური უფლებამოსილება მისსავე ტერიტორიაზე და მისი ხელშეუხებლობა სხვა სახელმწიფოების მხრიდან აღინიშნება ტერმინით სუბორდინაცია.

ინსტრუქცია


დავალება ღია დაბოლოებით (№18, 19.2, 19.3, 20, 21, 22, 23.3-23.7)

დავალებაში დასმულია კითხვა, რომელსაც სავარაუდო პასუხები არ ახლავს. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და კითხვა. პასუხი უნდა იყოს შეკითხვის ადეკვატური და კონკრეტული. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია თითოეული დავალების გასწვრივ.

- (4) **18. სქემა არასრულად ასახავს საქართველოში ხელისუფლების ორგანოებს და მათ ძირითად ფუნქციებს.**
შეავსეთ სქემის ცარიელი უჯრები:

სახელმწიფო ხელისუფლების შტოები	ხელისუფლების ორგანოები	ძირითადი ფუნქციები
საკანონმდებლო	პარლამენტი	• კანონების მიღება;
		• ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;
		18.1
აღმასრულებელი	18.2	ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის განხორციელება, მოქმედი კანონების აღსრულება.
სასამართლო	საკონსტიტუციო სასამართლო	18.3
	18.4	სხვადასხვა ორგანიზაციას, პირებსა და სახელმწიფო დაწესებულებებს შორის არსებული სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული დავების განხილვა და გადაწყვეტა; სისხლის სამართლის საქმეების განხილვა.

(3) 19. მოცემულია 2015-2020 წლის რუკა. რუკის ანალიზის საფუძველზე უპასუხეთ კითხვებს:



(1) 19.1 რა არის ასახული მოცემულ რუკაზე?

- ა) მიგრაციის სალდო;
- ბ) დემოკრატიის ხარისხი;
- გ) მმართველობის ფორმები;
- დ) ეკონომიკური განვითარება.

(1) 19.2 რუკის მონაცემების საფუძველზე რა ვითარებაა საქართველოში?


(1) 19.3 რუკის მონაცემების საფუძველზე იმსჯელეთ, რა ვითარებაა ავსტრალიასა და კანადაში. დაასახელეთ ამ ვითარების განმაპირობებელი ძირითადი მიზეზები.

(5) **20. დავალებაში მოცემულია სასკოლო პროექტის მიზნის, ამოცანებისა და განხორციელების გზების არასრული ვარიანტი. იმისათვის, რომ სასკოლო პროექტის მოცემულმა ნაწილმა მიიღოს დასრულებული სახე, დავალებები შეასრულეთ შემდეგი თანმიმდევრობით:**

- I. განსაზღვრეთ და ჩაწერეთ II ამოცანა, ცხრილში მოცემული განხორციელების გზების ჩამონათვალიდან გამომდინარე; (დავალება 20.2)
- II. დაწერეთ განხორციელების სამი სხვადასხვა გზა, რომლებიც თქვენი აზრით, ხელს შეუწყობს ცხრილში მოცემული I ამოცანის შესრულებას; (დავალება 20.3)
- III. განსაზღვრეთ და ჩაწერეთ პროექტის მიზანი, რომლის მიღწევაც შესაძლებელია პროექტის ორივე ამოცანისა და მათი განხორციელების გზებიდან გამომდინარე. (დავალება 20.1)

20.1	<u>პროექტის მიზანი:</u> (ჩაწერეთ მიზანი, რომლის მიღწევაც შესაძლებელია მოცემული ამოცანებიდან და განხორციელების გზებიდან გამომდინარე).
20.2	<u>პროექტის I ამოცანა:</u> სხვადასხვა პროფესიისა და მათი თავისებურებების შესახებ უფროსკლასელთა ინფორმირება. <u>პროექტის II ამოცანა:</u> (განსაზღვრეთ და ჩაწერეთ კონკრეტული ამოცანა, II ამოცანის განხორციელების გზებიდან გამომდინარე).
20.3	<u>I ამოცანის განხორციელების გზები:</u> (დაწერეთ მოცემული ამოცანის განხორციელების სამი სხვადასხვა გზა). 1. 2. 3. <u>II ამოცანის განხორციელების გზები:</u> 1. მოსწავლეთა თვითშეფასების ტრენინგების ჩატარება: პიროვნული მახასიათებლების, მიდრეკილებების, ინტერესების, შესაძლებლობების, ღირებულებების გამორკვევა; 2. სპეციალისტის მოწვევა, მოსწავლეთა პიროვნული ფაქტორების არჩეულ პროფესიასთან შესაბამისობის კონსულტირებისათვის; 3. მოსწავლეთა სტაჟირების ხელშეწყობა, ინტერესთა სფეროს მიხედვით, სამუშაო გარემოს გასაცნობად.

(4) 21. გაეცანით ილუსტრაციას და უპასუხეთ კითხვებს:



21.1 იმსჯელეთ, რა არის ილუსტრაციის მთავარი სათქმელი?

21.2 რომელი ტერმინით აღინიშნება ილუსტრაციაზე გამოსახული სოციალური სისტემა? დაასახელეთ ის სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც მიზნად ისახავს ილუსტრაციაზე გამოსახული პრობლემის აღმოფხვრას.

21.3 იმსჯელეთ არგუმენტირებულად, რამდენად აქტუალურია აღნიშნული პრობლემა საქართველოში და რა სამართლებრივი მექანიზმები არსებობს მასთან გასამკლავებლად.

(5) **22. გაეცანით ტექსტს და შეასრულეთ დავალება ქვემოთ მოცემული მითითებების შესაბამისად:**

„პრინციპები, რომელთა საფუძველზეც იმართება [საბჭოთა] ეკონომიკა, გულისხმობს შემდეგს: საბჭოთა დაგეგმარების აპარატი (და პოლიტიკური ხელმძღვანელობა) ამტკიცებს, რომ იცის საზოგადოების საჭიროებები, და შესაბამისად, გამოსცემს ინსტრუქციებს საზოგადოების ამ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. დაქვემდებარებული მენეჯერების პირველადი ამოცანა ამ ინსტრუქციების შესრულებაა. როგორც მოგვიანებით ვნახავთ, საინფორმაციო ნაკადები, რომელთა საფუძველზეც [ეკონომიკის] დამგეგმავები ინსტრუქციებს გამოსცემენ, მათი ქვეშევრდომებიდან მომდინარეობს და არასწორი იქნებოდა იმის დაშვება, რომ მენეჯერები მხოლოდ პასიური შემსრულებლები არიან იმ ბრძანებების, რომლებსაც ზემოდან იღებენ. თუმცა, ფაქტი ფაქტად რჩება: საბჭოთა ხელმძღვანელებმა უნდა ამტკიცონ, რომ მათ და მათმა ქვეშევრდომმა დამგეგმავებმა ყველაზე უკეთ იციან, რისი გაკეთებაა საჭირო, ვინაიდან მხოლოდ ამ მტკიცების საფუძველზეა შესაძლებელი ცენტრალიზებულად მართული გეგმარების გამართლება ვინმეს მიერ.“

ალექ ნოვე, „საბჭოთა ეკონომიკური სისტემა“, 1977 წელი.

- (1) 22.1 ტექსტიდან გამომდინარე, განსაზღვრეთ და დაასახელეთ სადისკუსიო თემა. იმსჯელეთ თქვენ მიერ შერჩეული სადისკუსიო თემის მოცემულ ტექსტთან შესაბამისობისა და აქტუალობის შესახებ.
- (4) 22.2 A. დაასახელეთ ორი არგუმენტი დისკუსიის დროს წარმოქმნილი პოზიციის დასაცავად;
B. დაასახელეთ ორი არგუმენტი დისკუსიის დროს წარმოქმნილი პოზიციის უარსაყოფად.

(თითოეული არგუმენტი უნდა იყოს არსებითად დამოუკიდებელი საზრისის მატარებელი.)

(9) **23. გაანალიზეთ მოცემული წყაროები და უპასუხეთ კითხვებს:**

წყარო N1

„შაბათობა“ საბჭოთა კავშირში



წყარო N2

თანამედროვე თბილისი




წყაროებზე გადასვლა: [3](#) [4](#) [5](#) [6](#)

დავალებებზე გადასვლა: [23.1](#) [23.2](#) [23.3-23.7](#)

წყარო N3

ქველმოქმედების რუკა, 2015 წელი.



წყაროებზე გადასვლა: [1-2](#) [4](#) [5](#) [6](#)

დავალებებზე გადასვლა: [23.1](#) [23.2](#) [23.3-23.7](#)

წყარო N4

„თავისუფლება ვერ გაიგივდება სიკეთესთან, ჭეშმარიტებასთან, სრულყოფილებასთან. თავისუფლებას საკუთარი თვითმყოფადი ბუნება აქვს. თავისუფლება თავისუფლებაა და არა სიკეთე. თავისუფლების სიკეთესთან და სრულყოფილებასთან აღრევა და გაიგივება თავისუფლების უარყოფაა; დაძალებისა და ძალადობის გზების აღიარებაა. ძალდატანებული სიკეთე უკვე აღარ არის სიკეთე, ის გარდაიქმნება ბოროტებად. თავისუფალი სიკეთე კი, რომელიც ერთადერთი სიკეთეა, გულისხმობს ბოროტების თავისუფლებასაც. [...] ბოროტების თავისუფლების უარყოფას და მხოლოდ სიკეთის თავისუფლების დამკვიდრებას თავისუფლების უარყოფამდე, მის კეთილ აუცილებლობად გადაქცევამდე მივყავართ. მაგრამ კეთილი აუცილებლობა უკვე აღარ არის სიკეთე, რამდენადაც სიკეთე გულისხმობს თავისუფლებას.“

ნიკოლაი ბერდიაევი, „დოსტოევსკის მსოფლმხედველობა“, 1923 წელი.

წყარო N5

„საერთო შრომითი მობილიზაციისას ან სამუშაო მიზნისათვის პარტიული მობილიზაციისას, აგრეთვე, შაბათობის და კვირაობის ჩატარებისას, ადგილობრივი კომიტეტები იძულებულნი არიან, არსებულ ინსტრუქციებთან შესაბამისად, გულდასმით ადევენონ თვალი პარტიის წევრთა ქცევას. ამა თუ იმ ფორმით სამუშაო მოვალეობისაგან თავის ამრიდებლები არა მხოლოდ გაძევებულ უნდა იქნან პარტიული ორგანიზაციებიდან, არამედ მათი სახელები შეტანილ უნდა იქნას შავ სიებში, რათა მომავალში ვერანაირი ისეთი თანამდებობის დაკავება ვერ შეძლონ, რომელიც საზოგადოებრივ ნდობას მოითხოვს.“

ლევ კამენევი, რუსეთის კომპარტიის IX ყრილობა, 1920 წელი.

წყარო N6

„ტირანიათა შორის ალბათ ყველაზე დამთრგუნველი არის ის, რომელიც გულწრფელად მის მსხვერპლთა საკეთილდღეოდ ხორციელდება. ალბათ უკეთესია ყაჩაღის მმართველობის ქვეშ ცხოვრება, ვიდრე ყოვლისშემძლე მორალური აბეზრების მმართველობის პირობებში. ყაჩაღის ბოროტება ხანდახან შეიძლება მიძინებულ იქნას, მისი სიხარბე შეიძლება რაღაც მომენტში დაკმაყოფილდეს, მაგრამ ისინი, რომლებიც ჩვენ ჩვენივე საკეთილდღეოდ გვტანჯავენ, დაგვტანჯავენ უსასრულოდ, რამდენადაც ისინი ამას საკუთარი სინდისის თანხმობით აკეთებენ.“

კლაივ ლუისი, „დასჯის ჰუმანიტარული თეორია“, 1954 წელი.

(1) **23.1 ნიკოლაი ბერდიაევის ტექსტის მიხედვით:**

- ა) ადამიანს იმიტომ აქვს თავისუფლება, რომ ის მან სიკეთის კეთებისათვის გამოიყენოს;
- ბ) ბოროტების თავისუფლების არსებობა სიკეთის ჩადენის ერთადერთი შესაძლებლობაა;
- გ) თავისუფლება, რომელსაც ბოროტებამდე მივყავართ, აუცილებლად უნდა იქნას შეზღუდული;
- დ) სიკეთის აუცილებლობა ადამიანთა ერთობას თავისუფალი თანაცხოვრების შესაძლებლობას აძლევს.

(1) **23.2 N5 წყაროს მიხედვით:**

- ა) კომპარტიის წევრები დიდი ენთუზიაზმით ეკიდებოდნენ საერთო სამუშაოების შესრულებას;
- ბ) ადგილობრივი კომიტეტების მიზანი იყო დამსახურების მქონე კომპარტიის წევრთა წახალისება;
- გ) შაბათობის და სხვა ტიპის საერთო სამუშაოების შესრულებისაგან თავის არიდება ნეგატიურად აისახებოდა კომპარტიის წევრთა კარიერაზე;
- დ) პარტიული ორგანიზაციის თითოეული წევრი ყოველგვარი იძულების გარეშე ზრუნავდა არა მხოლოდ პირად საკუთრებაზე, არამედ საერთო სიკეთეებზეც.

წყაროებზე გადასვლა: [1-2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#)

დავალებებზე გადასვლა: [23.1](#) [23.3-23.7](#)

- (1) 23.3 ნიკოლაი ბერდიაევის ტექსტის მიხედვით იმსჯელეთ, რატომ გულისხმობს სიკეთე თავისუფლებას და თავისუფლება, თავის მხრივ, არ გულისხმობს მხოლოდ სიკეთეს.
- (1) 23.4 ახსენით, როგორ უკავშირდება ნიკოლაი ბერდიაევის ტექსტი კლაივ ლუისის ტექსტს.
- (1) 23.5 კრიტიკულად გააანალიზეთ N1 წყაროზე ასახული მოვლენა N4, N5 და N6 წყაროების გამოყენებით.
- (2) 23.6 აღწერეთ N3 წყაროში მოცემული რუკის ძირითადი ტენდენცია. თქვენი ცოდნისა და ყველა წყაროს გამოყენებით იმსჯელეთ იმ შესაძლო მიზეზებზე, რომლებმაც გავლენა იქონია ამ ტენდენციის ჩამოყალიბებაზე.
- (2) 23.7 ნიკოლაი ბერდიაევის ტექსტის გამოყენებით განსაზღვრეთ საქართველოს რეალობისთვის დამახასიათებელი პრობლემის არსი, რომელიც იკვეთება N2, N3 წყაროებში და იმსჯელეთ, როგორ შეიძლება მასთან გამკლავება?

წყაროებზე გადასვლა: [1-2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#)

დავალებებზე გადასვლა: [23.1](#) [23.2](#)